სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დახაკვე-
ბისათვის მიმართავენ რედაქციის დილის
—8 საათიდამ და საღამოს 5—7
„ც. ფ. სახ.“ წიგნის მაღაზიის.
ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
ხელ-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ეღირება 3 მან.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ დაცლილია

## გომარეთის

სკოლის მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიმართოს გამგეობას. მასწავლებელს აქვს ჯამაგირად 360 მან. ბინა და შეშა მზამზარეული ექნება.

(5—4)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი

## ქეფირი და კუმისი

ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ღ. კორთნასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—64) ღ. კორთნა.

## ექიმი
## კ. ს. გენცენფილდი

ხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.

არჩენს ავადმყოფებს ვერენიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).

ავადმყოფთ ყოველ დღე დებულობს დილის 9—11 საათამდე და საღმოს 6—9 საათამდე.

კუკიაში მადერის ქუჩა № 5.

ქალების
## პროგიმნაზია
ელენე ბახტაძისა
დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ და აგრეთვე წელს გახსნილ პირველ პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 28 აგვისტოდან და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოიგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მან. წელიწადში.

(10—3)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი, გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ძ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. ძოგანი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

## რედაქციისაგან

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ხვედრი ფული არ შემოუტანიათ გაზეთის გაგზავნა პირველ აგვისტოდან მოესპობათ.

## ახალი ამბავი

—

*** მეზარხოსის ჩამობრძანება. დღეს ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე მარტყოფიდან ჩამობრძანდება ტფილისში. ხვალინდელი დღესასწაულისათვის მწირველად იქნება ყოვლად სამღვდელო, სწირავს აგრეთვე დღეს სიონის ტაძარში საღამოზე.

*** ავადმყოფთა ქსენონის კურთხევა მახხაანში. გაზეთ „კავკ.“ დეპეშით ატყობინებენ სიღნაღიდან შემდეგს: დღეს 12 აგვისტოს სოფელ მაჩხაანში ბ-ნი გუბერნატორის, პოლკოვნიკი სვეჩინის და საგუბერნიო ექიმის ბ-ნ ქიქოძეს თანადასწრებით, ადგილობრივის ადმინისტრაციის, სამღვდელოების და მრავალ ხალხის თანადასწრებით დიდის ამბით აკურთხეს და გახსნეს პირველი ქსენონი ავადმყოფთათვის ქიზიყში. ბ-ნმა გუბერნატორმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა და მოისურვა, რომ ეს მაგალითი ყველა დაბა-სოფლებისათვის მისაბაძი შეიქნესო.

*** არტისტი კ. მესხი დრამატ. საზოგ. გამგეობას ქუთაისში გაუგზავნია მოსალაპარაკებლად ზოგიერთ არტისტებთან დამდეგ სეზონში წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად.

*** სახალხო სცენა უკვე გაუსინჯავს საგუბერნიო კომისიას, რომელსაც ზოგიერთი შენიშვნები მიუცია და დაუვალებია, რომ შეკეთდეს და მერე შეგეძლებათ წარმოდგენების მართვაო.

*** პროგიმნაზიის საქმე ოზურგეთში. როგორც „ნოვ. ობოზრენიე“ იუწყება ოზურგეთის მოურავის თავ. ნ. თავდგირიძის მიერ დაწყებული საქმე შესახებ პროგიმნაზიის დაარსებისა ოზურგეთში, იმედია, რომ მალე საკეთილოდ დაბოლოვდესო. ამ ჟამად პროგიმნაზიის დაარსების საქმე გაგზავნილია თურმე პეტერბურღში უმაღლესს მთავრობის განსახილველად. ღმერთმა ჰქნას, რომ ეს მთელის გურიისათვის საჭირო საქმე მალე და კეთილად დამთავრდეს.

*** ქიზიყის დეპოს გამო. 8 აგვისტოს მოხდა აქწლიური კრება მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოებისა. წაკითხულ წლიური ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ უკანასკნელ ერთის წლის განმავლობაში საზოგადოებას უზარალნია ათის მანეთზე მეტი. საზოგადოთ კრებაზე გამოირკვა, რომ საზოგადოების საქმე ვერ მიდის კარგათ. ძველმა გამგეობამ უარი განაცხადა თანამდებობაზედ. ამორ-

ჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა გამოსძებნოს ღონისძიებანი საზოგადოების საქმეების გასაუმჯობესებლად.

*** ტირძნისის სკოლის განცხადება. საპატიო მზრუნველი გორის მაზრის საეკკლესიო - სამრევლო სკოლებისა ამით აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა მოწაფეებისა მომავალ სამოსწავლო წელს ტირძნისის მეორე კლასიან სკოლაში დაიწყება 20 სეკტემბრიდგან.

თხოვნებს მიიღებს (—1—20 სეკ.) გორის მაზრის საეკკლესიო-სამრევლო სკოლების საპატიო მზრუნველი სტატსკი სოვეტნიკი ივანე დავითის ძე სულხანიშვილი.

ტირძნისის მეორე კლასიანი სასწავლებელი შესდგება სამი კლასიდგან და ოთხ განყოფილებიან მოსამზადებელ კლასისაგან. ამ სკოლაში კურს დამთავრებულებს ეძლევათ მოწმობა მასწავლებლობისა სასულიერო უწყების წერა-კითხვის სკოლებში.

სკოლას აქვს პანსიონი, სადაც მოწაფენი იხდიან თვიურ შესანახს 4 მანეთს.

*** ნატალია დარეჯანაშვილის წერილის გამო. მ. ხ. ბატონო რედაქტორო! გთხოვთ მოჩჩიოად ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს მცირე წერილს ქ-ნ ნატალია დარეჯანაშვილის, „უხორცო საჭმელების მომზადების“, ავტორის საყურადღებოდ. „ცნ. ფურც. № 872-გან, ე. ი. 21 ივლისიდან გაზეთ „ცნ. ფურცელში“ იბეჭდება წერილი ქ-ნ ნატალია დარეჯანაშვილისა შესახებ უხორცო საჭმელების მომზადებისა, რომელიც, მართალი უნდა მოგახსენოთ, მეტად სასარგებლო და სასიამოვნო შეიქმნა სოფლის თუ ქალაქელ მეოჯახე ქალთათვის, მაგრამ ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ წერილებში ხშირად იმისთანა სიტყვები (ტერმინები) ურევია, რომ ამ ტერმინების დასურათების გაგება ძნელი შეიქმნა ჩვენი იმერეთის ქალებისათვის. აი მაგალითად ეს სიტყვები: ალყათ, მათლაფა, კლიოცკი, ზირიშკა, კირკაჟი, ბაჰარი, ბურღული და სხვანი და სხვანი მრავალნი. ამისთვის ძლიერ კარგს ინებებს ქ-ნი ნატალია დარეჯანაშვილისა, ავტორი „უხორცო საჭმელების მომზადების“ წერილებისა, რომ ამ გვარ გაუგებარ და უცნობ სიტყვებს და ტერმინებს შენიშვნებით ახსნიდეს, მაშინ მერწმუნეთ, რომ მათი ნაწარმოები—შრომა ერთი ორჯერ მეტს სარგებლობას მოუტანს მკითხველებს, თუ მეოჯახე ქალებს.

გურულ-მეგრელი.

*** ახალი წიგნი. ჩვენ მივიღეთ ახლად გამოსული წიგნი ანუ იგავ-არაკების კრებული ვარდანისი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოცემული. წიგნი შეიცავს 150 გვერდს, საშუალო ზომისაა; დასტამბულია სუფთად და შნოიანად ამხანაგობის სტამბაში და ღირს ორი აბაზი. წიგნს დართული აქვს ექვ. თაყაიშვილის ბოლოსიტყვაობა. წიგნი ფრიად საინტერესო საკითხავია და ეჭვი არ არის მალე გავრცელდება ქართველ საზოგადოებაში.

*** **ნიგოითი** (გურია) მატარებლის გადმოსვლა ლიანდაგიდან. ნიგოითში 6-ს ამა აგვისტოს დილის 5 საათზე რკინის გზის სადგურის მახლობლათ, მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა და დიდი ზარალიც ნახა. აქაური სადგურის უმფროს გაუგზავნია მორიგი მეისრე ირ. გოგუაძე ისარზე, რათა მას მიეღო მატარებელი მეორე ლიანდაგზედ; მეისრე მივიდა დანიშნულ ადგილს, შეაბრუნა ისარი, როგორც ნაბრძანები ჰქონდა და თან თავი მისდვა და დაეძინა. ათი წუთის განმავლობაში უცებ მძინარეს თვალებში ცეცხლი მონათებია, შეხედა, რომ მატარებელი დაახლოვებია ისარს, შიშით ვერა წარმოუდგენია-რა და არც გახსენებია თუ მას მატარებლის მისაღებათ გზა გაღებული ჰქონდა, ზეზე წამოვარდნილა, წამოუვლია ისრისთვის ხელი და შეუბრუნებია სწორედ იმ დროს, როდესაც მატარებელი უკვე ზედ მდგარა; ისრის შებრუნებამ მატარებელი ლიანდაგიდან გადააგდო და მიწაში ჩაიფლო. კაცი არავინ უმსხვერპლია, ზარალი კი დიდია, ორი ნავთის ქვაბი გატყდა, ახლად მოსულ ამერიკის ორთქლმავალს რომელიც ამავე მატარებელზედ იყო მობმული, ზურგი ჩაჰყლეტია, რელსები სულ დამტვრეულია.

ეს სამწუხარო შემთხვევა ბრალდება მეისრეს ირ. გოგუაძეს და ეჭვი არ არის საბრალოს პასუხის გებაში მისცემენ.

მ. დ.

*** **ს. საგარეჯო** (გარე კახეთი) აქაური რამე-რუმე აქ, ბატონებო, გაილეწა პური, მორბის ხტუნვით გაზაფხული, გლეხს დასჭირდა ფული და მიყიდა ჩალის ფასად გალეწილი თავის სარჩო პური.—დიახ, ბატონებო, აქ ილეწება პური, მაგრამ ვაი ამისთანა გალეწვას, იქვე სულთამხუთავივით ადგია თავზედ მოვალე და მევახშე და თავისი დიდი საწყავით აიწყავს ხოლმე ამ საწყალი გლეხის ამაგს და თავის ბეღელში უქცევს თავს, ასე რომ, გალეწვის შემდეგ, გლეხი რჩება ხელ (...) და ხელ დაბანილი; ბევრი გლეხი შემიძლია დავასახელო ისეთი, რომ სულ ულუკმა პუროდ დარჩენილიყოს ხოლმე, და თავისი გალეწილი პური მოვალეს ვალში სულ წაეღოს, მაგრამ წარმოიდგინე იმ ვაჭბატონების ულმობელობა, მიუხედავათ იმისა, რომ გლეხს ხელდარეცხილს სტოვებს თავისი ოფლით მონაწევზე, მაინც დიდი საწყაურით სწყავს ხოლმე. მეტი ულმერთობა შეიძლება კიდევ? არა მგონი! საჭირო იქნება ჩემის აზრით ამისთანა საწყაურებს ყურადღება მიაქციონ, თორემ ლამის არის სულ დააძრობენ აქაურ უენო ხალხს ტყავს ეს ჩვენი ჩარჩები და მერმე გვიან ღა იქნება ჩვენი პირ-ვარამის შეტყობა.

— აქ ექვს მარიამობის თვეს ე. ი. ფერისცვალობა დღეს ნათლის მცემლის ეკლესიაში დიდი ძალი ხალხი იყო მოგროვილი წირვაზედ—ბრძანდებოდენ აგრეთვე ყველა აქაური, ინტელიგენცია. მწირველი ბრძანდებოდა აქაური მღ. ბედიევი; წირვაზედ გალობდნენ პაწია ბავშვები ბ. ლ. ბედიაშვილის ლოტბარობით, რომელსაც დიდი შრომა და ენერგია გაუწევია ამ საქმის განხორციელებისათვის და სწორედ მადლობის ღირსია ბ ლ. ბედიაშვილი, რომ არ დაუშურებია თავისი შრომა. ასე თავ-დადებით ასწავლის როგორც წერა კითხვას, აგრეთვე საეკკლესიო გალობასაც; ერთმა იმავე მასწავლებლის მოწაფეთაგანმა წირვის შემდეგ ისეთი გარკვევით და მშვენივრად წაიკითხა გაბრიელის ქადაგება, რომ ყველა დამსწრეთაგანი განცვიფრებაში მოიყვანა

როგორც სხვაგან, რასაკვირველია, ჩვენ სოფელშიც ფერისცვალობა დღეს არა მუშაობენ და დიდ უქმადაც მიაჩნიათ, ერთი სიტყვით ყველა ქართველი და სომეხი იმ დღეს აქ უქმობდენ ერთობ, მხოლოდ ამ წესს არღვევდა ერთი აქაური სომხების ტერტერა და იმ დღეს გაცხარებული ლეწვა ჰქონდა გამართული. აქაურმა მამასახლისმა იოსებ ქურხულმა სთხოვა მღვდელს დიდის მორიდებით. რომ თუ შეიძლებაო წირვის გამოსვლამდი გვეცი პატივი და ნუ ამუშავებ კალოსაო, მით უმეტეს, რომ ყველა თქვენი მრევლი თანაუგრძნობენ ჩვენ უქმეს და ოქვენ ნუ დაარღვევთო, მაგრამ ბ-ნმა კახოიანცმა ყურიც არ ათხოვა მამასახლისის თხოვნას და მაინც თავისი კალო საღამომდისინ ამუშავა და ამით აწყენინა არა თუ მარტო ქართველებს და თავის მეზობლებს, არამედ თავის მრევლსაც. ყველა სომეხი გაიძახოდა, რომ ჩვენი (...)ტერა თუმცა მაგალითს გვაძლევს, რომ შეგვიძლიანთ შაობაო, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვ
სოფლის სასარგებლოთ და ჩვ
მეზობლების ხათრისათვის უქ
ვიუქმოთო! სწორედ გასაკვირ
ლია, როდესაც მღვდელი უქ
აძლევდეს სასურველ დარიგ
თავის მრევლს.

აქ გვეხსნება აფთიაქი, სადაც
ცოტა ხანში დაიწყობა წამლე
გაყიდვა. სწორედ დიდი სარგ
ლობაა, თუ კი რიგიანათ დაი
წამლების ყიდვა, ახლა მაინც მ
ვეცემა საშუალება იმისა, რომ
ლამოს მაგიერ ხინას არ დავლ
თუმცა ფულით დაგვჭირდება ყ
ვა, მაგრამ რა გაეწყობა, მუ
ნათქვამია პურიც არ ვარგაო,
წამალი, გასაკურნებელი წამა
საიდან ივარგებს! ვუსურვებთ,
ჩვენი აფთექარი კარგი პირ
კაცი ყოფილიყოს და რიგ
წამლის მომზადება შეეძლოს.
სასრულ არ შემიძლიან არ
ჩივლო, წრევანდელ აქაურ პ
მოსავალს, არ აქვს სრულები
მოსავალი ასე რომ შარშან
ზე ნახევარი ნაკლები გამ
ვალი აქვს წრეულს.

ნესტ. მაქსიმენიშვი

*** **ს. ზაშლოვანი.** (ქარ
საშინელი უწყლობა. ჩვენს
ფელს ვაშლოვანს დიდი გას
ადგა წარსულს წლებში, უწ
ბის გამოისობით საქონელ
ვილით იხოცებ(...)ა,
უწყლოთა ხმებოდა და თვ
გილობრივ მცხოვრებლებსაც
უშრებოდათ მეტის-მეტი წყუ
ლისაგან, ასე გაშინჯეთ, მ
კვირა რომ გეძებნათ, ერთ ლ
წყალს ვერ იშოვნიდით მ
სოფელში. თუმცა მრავალ
მოიწადინეს აქაურ მცხოვრ
გლეხებმა, რომ წყალი ამო
ნათ როგორმე, მაგრამ ამაო
ვერა უშველეს-რა, რადგანაც
ლება ხელს არ უწყობდათ.

ბოლოს ღმერთმა გადმოგვხ
და გამოგვიგზავნა საშველად
ვე სოფლის ბატონი თავ. კ
ორბელიანი, რომელმაც დიდი
მარება აღმოუჩინა ჩვენს სოფე
ვაშლოვანს, 100 მანეთზედ მე
ფული დახარჯა და წყარო
როგორც იყო აღმოაჩინა, რისთ
საც უგულათადეს მადლობას უ
ხადებენ ადგილობრივ მცხოვრ
ნი პატივცემულ თავადს.

ბ. ახალ-პირელი

*** **მიქაელ-გაბრიელის საზ
გადოება.** (გურია). ბიბლიოთ
კის სასარგებლოდ. კარგა ხა
რაც ეს სოფელი წინ მსვლელ
ბის გზას დაადგა და მის მცხ
რებლებს გონება-ზნეობის გა
ჯობესობა დაეტყო: დღეს აქ
მართულია ორ კლასიანი სამინ

ტრო სასწავლებელი, სადაც ოთხმოცამდე შეგირდები სწავლობენ. ამ ცოტა ხნის უკან სახალხო უფასო სამკითხველო წიგნთ-საცავის ნება-რთვაც გამოითხოვეს თავადმა იოსებ მიხეილის ძე ნაკაშიძემ და ალექსი ბოლქვაძემ, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღეს. ამიტომ მივმართავ პატივცემულ საზოგადოებას რაიმე საშუალება აღმოუჩინოს ამ ახალ ბიბლიოთეკას სხვა და სხვა შემოწირულებით, რითაც ჩვენ შეგვეძლება საიმედო საძირკველი დაუდვათ ამ საშვილის-შვილო და ყველასათვის სასარგებლო საქმეს.

მასწავლებელი იოსებ ჩხატარაიშვილი

# თეატრის მატიანე

**ს. ტყვიავი** (ქართლი). **საქველმოქმედო წარმოდგენა.** 10 მარიამობისთვეს სოფ. ტყვიავის ინტელიგენციამ გამართა წარმოდგენა. ბევრი თათბირის შემდეგ ამოირჩიეს „ბაიყუში“ და კიდევ რომელიღაც ვოდევილი, რომლის სახელიც გაუგებარი დარჩა, რადგან იგი არ წარმოუდგენიათ. ჯერ სად იყო მარიამობისთვე, როდესაც მოთამაშე პირნი თავიანთ „აქტიორებს“ ზეცას აფრენდნენ, მაგრამ, საუბედუროთ, ბევრი არაფერი არა იყო—[illegible] მხოლოდ ერთი რევაზ თავქარიანი თამაშობდა, თორემ სხვები სუსტობდნენ. უწესოებასაც არა უშავდარა, იმის როლს უფრო კარგათ ასრულებდნენ, აი მაგალითად: ფულს ართმევდნენ და სკამებზე კი თავიანთ ნაცნობებს სხამდნენ, ე. ი. დასწრებაზე იყო. რასაკვირველია, ცოტა ძვირი ბუფეტიცა ჰქონდათ, დანარჩენს ამის გარდა არა უშავდა-რა, ე. ი. ზურნას და ლეკურს.

ფსევდონიმი.

## უხორცო საჭმელების მომზადება.

**ნაწილი მეორე**

წვნიანს შემდეგ მოსატანი საჭმელები ესე იგი მეორე ბლიუდები.

(შემდეგი *)

41. **წითელი რუსული ბადრიჯნის ტაბაკა.** აიღეთ რამდენიც გნებავდეთ მწიფე ბადრიჯნები დააწყეთ ტაფაზე, უყავით ერთი კოვზი ერბო მოხრაკეთ, როდესაც ერთი მხარე შეიწვის, გადააბრუნეთ მეორე მხარეს, როცა ორივე მხარე საკმარისად შეიწვის, მაშინ გაუსწორეთ მარილი, პილპილი და ცხელი მიიტანეთ სუფრაზე.

42. **მოხრაკული მწვანე რუსული ბადრიჯანი.** მწვანე ბადრიჯნები დასჭერით ალყად, ჩაყარეთ მდუღარე წყალში და მოხარშეთ, შემდეგ ამოიღეთ გააციეთ, მაგრა გაწურეთ. მერე აიღეთ ხახვი დასჭერით ალყად მოხარშეთ ერბოში ან ზეთში, ხახვი რომ ცოტა მოიშუშება, ჩაყარეთ ბადრიჯანი ისიც ხახვთან ერთად მოხრაკეთ, უყავით მწვანილი: ქინძი, კამა, ოხრახუში გაუსწორეთ მარილი, პილპილი და ისე მიიტანეთ სუფრაზე.

43. **ხმელი ლობიოს სირსველი.** აიღეთ ერთი მათლაფა კარგათ დარჩეული და გარეცხილი ხმელი ლობიო; კარგათ მოხარშეთ ქოთანში, როდესაც მოიხარშოს წვენი გადაწურეთ, სირსველი მოაქციეთ მათრათზე (ბლუდზე) მაშინათვე მოაყარეთ საკმარისი: მარილი, პილპილი და თუთუბო *), შემდეგ ჩააჭერით მწვანილი: ქინძი, კამა, ოხრახუში, ახალი პიტნა ალყად დაჭრილი ხახვი და ისე მიიტანეთ სუფრაზე.

44. **ნედლი ლობიო ერბო კვერცხით.** აიღეთ ერთი პატარა კალათი ნედლი ქორფა ლობიო, თავს და ბოლოს ყუნწები მოაშორეთ. მერე წვრილად დაამტვრიეთ ან დასჭერით დანით; გარეცხეთ, ჩაყარეთ ქვაბში მოხარშეთ. მოხარშვის დროს ქვაბში, ჩადეთ ერთი მოზრდილი კონა ქინძი და კამა, მერე შიგ ჩააჭერით ერთი მათლფა წმინდათ დაჭრილი ხახვი, ცოტა ქინძი, კამა, პიტნა და რეჰანი. ლობიო კარგათ მოხარშეთ. მოხარშულ ლობიოს უყავით ორი ან სამი კოვზი ერბო, შემდეგ ისევ ხარშეთ. როდესაც შეატყობთ, რომ ლობიო მოიხარშაო, მაშინ კარგათ ამოზილეთ ხის კოვზით, მერე შიგ უყავით ოთხი კარგათ გათქვეფილი კვერცხი და ქვაბი ისევ ცეცხლზე დადგით, რომ წამოდუღდეს; როცა გადმოდუღდება კოვზით კარგათ დაურიეთ, მერე ისევ აიღეთ სამი ან ოთხი კვერცხი კარგათ გათქვიფეთ და ლობიოს ზემოდან მოასხით, კოვზით კი ალარურიოთ, და ისე მოიხარშოს გათქვეფილი კვერცხი, როცა მომზადდება ცხელ-ცხელი მიიტანეთ სუფრაზე. როდესაც სამარხოს ამზადებდეთ, მაშინ ერბოს მაგიერად უყავით წმინდათ დანაყილი ერთი ან ორი კოვზი ნიგოზი.

ნატალია დარეჯანაშვილისა.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნობ. ფურც». № 888.

*) თუთუბო მყავე სანელია, ხმარობენ ძეხვებში, პერაშკებში და მწვადზე.

## ყურმოკრული საუბარი

— „სასმელი თავი და თავი მტერია კაცის; სასმელი უნდა გძულდესო,—ეუბნებოდა მოძღვარი ერთს ღოთს.

— დიახ, მამაო, მართალსა ბრძანებ, მხოლოდ ნუ თუ სახარებაში არა სწერია „გიყვარდეს მტერი შენიო“.

— მართალია სწერია, მხოლოდ ისკი არსადა სწერია, „ჩანთქით მტერი თქვენიო“,—მიუგო სიტყვა-მოსწრებით მღვდელმა.

# წვრილი ამბავი

**ნადირობა სპილოებზე.** მოგეხსენებათ, სპილოს ძვალი ძალიან ძვირფასი რამ არის. მონადირენი ძალიან ბევრს ფულს იღებენ სპილოს ძვლების გაჭრობით და ბევრნი გამდიდრდნენ კიდეც. ამის გამო ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა სპილოებზედ ნადირობა. მთელი აფრიკა ამ მონადირეებით არის თურმე სავსე, რომელიც ტყე-ტყე დადიან და დაეძებენ სპილოებს. ერთ ფრანგულ ჟურნალში გამოცდილი და ცნობილი მონადირე ედუარდ ფოა სწერს, რომ თუ საქმე ასე წავიდა, 30 წლის შემდეგ, მთელს აფრიკაში აღარც ერთი სპილო აღარ იქნება, მონადირენი სულ ერთიან ამოსწყვეტავენო. ფოა ურჩევს, მომავალ პარიზის გამოფენაზედ მოწვეულ იქმნას საერთაშორისო კონგრესი, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ზომები სპილოების დასაცველად ამოწყვეტისაგან.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**ჰამბურგი.** „Hambourgische Korrespendent“ სწერს: „გერმანიისაგან თხოულობენ, გამოაცხადოს მთავრობამ საბუთის ქაღალდები, რომელთაც დრეიფუსის უდანაშაულობის დამტკიცება შეეძლოსო; ამის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი საბუთის ქაღალდები არ არსებობს, რადგან გერმანიას არა ოდეს და არსად არავითარი საქმე არა ჰქონია დრეიფუსთანაო«.

**მადრიდი.** ოპორტოდგან მოსულ ცნობებიდგან სჩანს, რომ იქ გუშინ სამი კაცი გამხდარა ავათ შავი ჭირით, რომელთაგან ორი მაშინვე გარდაიცვალა. ბრბომ ერთობ ძლიერი დემონსტრიცია მოახდინა ქალაქის ლაბორატორის წინ დოქტორ ჟორჟის წინაამდეგ.

**პარიზი.** გერენის მზარეულს, რომელიც ფილტვების ანთებით ავათ არის, ნება მისცა მთავრობამ შაბროლის ქუჩაზედ სახლი დაეტოვებინა და პოლიციის საავადმყოფოში გადასულიყო. იმან განუცხადა პოლიციის ინსპექტორს, რომ გერენს დარჩა რამდენიმე კოლოფი კონსერვი და 50 კილო კარტოფილიო. დეპუტატმა მილვუამ და ჟერვენმა გერენ[illegible]

შესვლის ნება-რთვაც ითხოვეს, რომ დაიყოლიონ დანებდეს მთავრობას. ვალდეკ-რუსომ არ შეიწყნარა მათი თხოვნა. პარიზი დამშვიდებულია.

**რენნი.** მაიორმა ჟანდრომ აჩვენა, რომ ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომელსაც საყვარლად ვენგრიელი ქალი—დელი ჰყვანდაო, რომ ამ ქალს ბევრთან ჰქონდა კავშირი და მათ შორის აფიცერი დრეიფუსიც იყოვო. მოწმემ დიდის ქებით მოიხსენია დრეიფუსი.

მაიორმა გესომ და ბულანჟემ, დრეიფუსის ამხანაგად ნამყოფებმა მეოთხე ბიუროში, აჩვენეს რომ დრეიფუსმა ძლიერ კარგად იცოდა ყველა საგანი, რომელთაც მთავარი შტაბი იკვლევდაო. დრეიფუსმა შენიშნა, რომ არაოდეს არ ვცდილვარ გამეგო რაიმე იმაზედ მეტი, რაც მე უნდა მცოდნოდაო.

**რენნი.** გუშინ ლაბორის სახლობაზედ მიიღეს რამდენიმე საეჭვო კოლოფი; ისინი გამოსაკვლევად გარდასცეს, და დღეს აღმოჩნდა, რომ იმათში ჭრილობის მოსარჩენი მალამო იყო.

**რენნი.** მაიორმა დიუშატლმა სთქვა, რომ დრეიფუსი არშიყობაში ატარებდა დროს და ქალაღდს თამაშობდავო. დრეიფუსმა ამ ჩვენების ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობები შეასწორა.

პარიზის მემამულემ დიუბრეილმა აჩვენა, რომ დრეიფუსს გავეცანი ვიღაც ბოდსონის სახლში, სადაც აგრეთვე იმყოფებოდა გერმანიის სამხედრო აგენტიცო. მოწმეს ყურადღება მიუქცევია ამხანაგურ დამოკიდებულობისათვის დრეიფუსსა და იმ აგენტის შორის. ბოდსონს შემდეგ უამბნია მოწმისათვის, რომ დრეიფუსი იმ აგენტის ცოლის საყვარელი იყოვო; იმან დასძინა, რომ ხელთ ისეთი საბუთები აქვს დრეიფუსის წინაამდეგ, რომ შეეძლო ჯარიდგან განეძევებინაო. დრეიფუსმა განაცხადა, რომ ბოდსონისას არაოდეს არ მისადილნიაო უცხო ქვეყნელ აგენტთან ერთადო; იგი დაბეჯითებით თხოულობდა რომ დიუბრეილმა დაასახელოს ის აგენტიო, „საჭიროა ვიცოდეთო,—დასძინა მან,—ვინ სტყუის და ვინ მართალს ლაპარაკობსო“. ვექილებმა ითხოვეს, რომ ცნობები იქმნას შეკრებილი დიუბრეილის ზნეობის შესახებო.

კარიერმა, უპასუხა-რა ლაბორის, სთქვა, რომ მე არ გადმომცეს გამოძიება, რომელიც ვერნემ მოახდინა დიუპატის შესახებაო. იყლი მაქვს, დიუ-პატი რამდენიმე დღის განმავლობაში თი-[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორიმ ჰკითხა გონზს: პასუხს აგებთ თქვენ დიუ-პატის მოქმედებაში, რომელმაც სამსახურის საბუთის ქაღალდები მაიორს ესტერგაზს ამცნოვო. — „არაოდესო“. — შესძახა გონზმა

ინჟინერმა ლანკიტიმ განაცხადა, რომ დრეიფუსს შევხვდი ბრიუსელში 1894 წელს, მაგრამ გარკვევით არ შემიძლიან დავასახელო, სახელდობრ როდის იყოესო. დრეიფუსმა მოაგონა, რომ შეგხვდი თქვენა და გელაპარაკეთ ბრიუსელში რესტორანში 1890 წელს (?), როცა პირველად და უკანასკნელად ვიყავი იქ, გამოფენის გამოვო. მოწმე დაეთანხმა, რომ ეს ასე იყოვო. სხდომა შესწყვიტეს 11 საათ. 40 წ. გაგრძელება ხვალ იქნება. დრეიფუსმა ხელი ჩამოართვა ლაბორის.

**პეტერბურგი.** „წითელის ჯვარის საზოგადოება“ აცხადებს, რომ რაკი რუსეთში წელს კმა-საყოფელი მოსავალია ეხლა საჭირო აღარ არის შეწირულებანი მოიკრიბონ 1898 წლის მოუსავლობით დაზარალებულთათვისო.

**ჰელსინგფორსი.** გუსართა მე-12 რაზმი, რომლის შეფადაც დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე იმყოფება, დეპუტაციას ჰგზავნის პეტერბურგს, რათა მისს უმაღლესობას მიულოცონ ქორწინებიდგან ოც-და-ხუთის წლის შესრულება.

**პარიზი.** პოლიციამ ახალი ღონისძიებანი იღონა, რათა შაბროლის ქუჩაზედ სამხედრო ძალა გაძლიერებულ იქმნას. მახლობელ შენობებში ჟანდარმები დადგნენ. მკურნალი, რომელიც თავისუფლად დადიოდა ალყა-შემორტყმულებთან, ამიერიდგან ყოველ დღე ნება-რთვა უნდა აიღოს იქ შესვლისა და სურსათი არა უნდა შეიტანოს-რა თან. ერთმა დამწყვდეულთაგანმა მოითხოვა დღეს, რომ სამკურნალო შემწეობა აღმომიჩინეთ, რადგან ფილტვების ანთებითა ვარ ავადაო. აქ იმ აზრისანი არიან, ყველანი მოიავადმყოფებენ თავს, რომ თავი დააღწიონ დამწყვდევას.

**რენნი.** გუშინ გონზმა ესეც განაცხადა: „მინისტრს არ უნდოდა, რომ აფიცრებს ესტერგაზისთან ჰქონოდა დამოკიდებულება. როდესაც გაიგეს, რომ ესტერგაზის წინააღმდეგ იწყებენ მოქმედებასაო, ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ შევატყობინოთ ეს ამბავი ესტერგაზის, დავამშვიდოთ და ვურჩიოთ არა იმოქმედოს რა. მინისტრი ამის წინააღმდეგი გახლდა“ გონზმა უარ-ჰყო, ვითომ ესტერგაზის მიეღოს დარიგება, რა უნდა ეთქვა გენერალი პელიესათვის. ესტერგაზის ისეთ ადამიანად სთვლიან, რომელიც სხვასაც-კი გაუტეხდა სახელსაო. თავისუფლად დატოვებულ იქმნა იგი მხოლოდ სოსსიეს ბრძანებით. როდესაც გამოძიება დაიწყო, მარტო დიუ-პატიმ გაუტეხა სახელი მთავარ-შტაბს თავისის წინ-დაუხედავის საქციელითაო.

**ბელგრადი.** მილანის მოკვლის განმზრახველთა საქმის განხილვა სასამართლოში 30/18 აგვისტოს დაიწყება, სულ 48 ბრალდებულია. ბრალსა სდებენ თვით კნიაჟევიჩს და ყველა იმათ, რომელთაც სცოდნიათ, რომ შეთქმულობაა სახელმწიფოს ამბოხების მოსამზადებლადაო.

## რედაქციისაგან

—

გერ იბეჭდება შემდეგი წერილები:
ივანდიდელი ტ—ძესი ტფილისიდან
ბასილეთელის გაბრიელისა მიწეთიდგან.
იქაური დამსწრესი ჩხარიდან.
მეზობელისა ხოჰალიადან.
დამსწრესი ქუთაისიდან.

# განცხადებანი


იყიდება
„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 „
ალექსანდრე ეპისკოპოსი 2 „
სპარსეთის მეფე და ქართველი ტომი . . . . 2 „
ზაქარა ბიბლიოთეკა . . 2 „

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.
მსურველნი მიჰმართავენ („ცნობის ფურცლის“ რედაქციას. 30—30)



გამოვიდა და ისყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.

„ბერანჟე“
ქართულად
გ. გვაზავას თარგმანი.
ფასი 40 კაპ.

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის გამოცემული; შეიცავს 40 საუკეთესო ლექსს და ავტორის სურათს.
ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც.“ ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის აღრკით. (10—10)



ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГАЗЕТУ

„СВѢТЪ“

СЪ „СПРИЛОЖЕНІЕМЪ РОМАНОВЪ“

съ пересылкою и доставкою

**На четверть года:**
съ 1 января по 1 апрѣля . . . . . . . .
« 1 апрѣля по 1 іюля . . . . . . . .
« 1 іюля по 1 октября . . . . . . . .
« 1 октября по 31 декабря . . . . . . . . 2 р.

**На полгода:**
съ января или съ 1 іюля . . . . . . . . 4 —

**На девять мѣсяцев:**
съ 1 апрѣля . . . . . . . . 6 —

**На годъ:**
съ 1 января . . . . . . . . 8 —

**На иные сроки подписка не принимается.**

ПРИМѢЧАНІЕ. Подписка на «Приложеніе Романовъ» къ газетѣ «СВѢТЪ» принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи «Приложеніе Романовъ» не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ «Приложеніемъ».

**Адресъ Редакціи: спб. Невскій, 138.**

Редакторъ-Издатель **В. В. Комаровъ.**



# РОССІЯ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА н ГАЗЕТУ „РОССІЯ“

| | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. | | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — | На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 | » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| «10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 | » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 | » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 | » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — | » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія (Невскій № 8

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ-третлямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужащіе же могутъ обращаться съ ои заяваеніями въ С.-Петербургѣ (Невскій № 86).

З перемѣну адреѣсса уплаиивается 40 коп. Отделрные нумера газеты «Ро эія» продается по 6 коп.

**ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:**

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 ко позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. д 6 часовъ по полудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 1 часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневноот 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны бытъ за подписью и съ адресом автора, безъ чего онѣ печмтаемы не будутъ. Статьи, доставляемы безъ обо наченія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи яне возвр щаются.

**завѣдуютъ отдѣлами:**

1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А В. Амфитеатровъ.
3 Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраньымъ: Л. Ю. Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А. Рубинштейнъ.
7) Художественнымъ: И. Ф. Порфировъ.
8) Хроники: А. Н. Черный.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники: Ю. Д. Бляевъ.
11) Московскимъ: В. А. Гъляровскі
Общественный фельетонъ—по воскресеньямъ—Old Gentlem n.
Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.
По средамъ печатается «Милліонер повѣсть В Г. Авсѣенко.
Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П. Плетневъ.
Корреспондентъ въ специальной командировкѣ по недороднымъ мѣстностям Сергѣй Печоринъ (С. А. Сафонов
Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшав Софіи, Константинополѣ, Одессѣ и т.

(8—8)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Августа 1899 г.